თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის
ო ქ მ ი № 7

29 მაისი 2018 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 26 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი;

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -კონსერვატორები" თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე ალექსი ძულიაშვილი.

საკრებულოს წევრები: ზაქარია გრიშიკაშვილი, ბაადური რევაზიშვილი, არჩილი თვალიაშვილი, ბესიკი ქოჩიშვილი, გიორგი ჩაბრაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამი წულუკიძე, ვასილი არაბული, ლევან მრელაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, გიგა მამუკელაშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, ზურაბი ლილუაშვილი, ზურაბ მუსაევი, ნიკოლოზ მაისურაძე, აბრამ მახარიაშვილი, ზურაბი ნაცარაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გ.თავზერიძე, იურიდიული სამსახურის უფროსი

ლ.ბერძენაშვილი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნ.აფციაური, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გ. ენუქიძე.
საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, საკრებულოს კომისიებში მოწვეული სპეციალისტები, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.
მოქალაქეები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.ენუქიძე
12.00სთ-დან-12.10სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

მომხს. ნ.აფციაური
12.10სთ-დან-12.20სთ-მდე

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღრვევათა კოდექსის 43[1] და 43[2] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
12.20სთ-დან-12.30სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (საავადმყოფო საწოლები) შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

5. ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე 76 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
12.40სთ-დან-12.50სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
12.50სთ-დან-13.00სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4955 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

13.00სთ-დან-13.10სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 100 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

13.10სთ-დან-13.20სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

13.20სთ-დან-13.30სთ-მდე

საკრებულოს წევრებმა ი.პარწიკანაშვილმა და მოქ. მ.მოსიაშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შემდგომ მოითხოვეს სიტყვით გამოსვლის უფლება.

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.ენუქიძე

12.00სთ-დან-12.10სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> გ.მამუკელაშვილმა

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 24(ოცდაოთხი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ზ.გრიშიკაშვილი, ა.მახარიაშვილი.

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

მომხს. ნ.აფციაური

12.10სთ-დან-12.20სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზ.ნაცარაშვილმა დასვა კითხვა იმის თაობაზე, თუ რა საჭიროებიდან გამომდინარეობს დამხმარე თანამშრომლების მიღება. მან აღნიშნა, რომ პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე ხდება დამატებით თანამშრომლების მიღება და კარგი იქნება თუ საკითხი მოიხსნება განხილვიდან და მოხდება დამატებით შესწავლა.

ზ.რევაზიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ მმართველ პარტიას ეს ყველაფერი ჭირდება საარჩევნო მიზნებისათვის.

ი.პარწიკანაშვილმა კი აღნიშნა, რომ აუცილებელია სოფლებს დაემატოს თანამშრომლები, რადგან ადგილებზე ბევრი პრობლემებია და მათ გადაჭრას ჭირდება შესაბამისი კადრები.

ა.ძულიაშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი სრულყოფილად არ არის დამუშავებული, თუ საჭიროება არსებობს მაშინ ყველა სოფელი უნდა იყოს თანაბარ პირობებში.

გ.მამუკელაშვილის მოსაზრებით სადაც საჭიროა ყველა სოფელში უნდა მოხდეს თანამშრომლის დამატება.

ა.თხლაშიძემ კი იმედი გამოთქვა, რომ მერია გამონახავს რესურსს თანაბარ პირობებში ჩააყენოს ყველა სოფელი და თუ საჭირო გახდება მომავალშიც მოახდენს ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომელთა მიღებას.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 20(ოცი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 01(ერთი): ა.თვალიაშვილი, წინააღმდეგი - 05(ხუთი): ა.ძულიაშვილი, ზ.გრიშიკაშვილი, ა.მახარიაშვილი, ზ.რევაზიშვილი, ზ.ნაცარაშვილი.

3.მოისმინეს: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $43^1$ და $43^2$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

12.20სთ-დან-12.30სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ზ.რევაზიშვილმა აღნიშნა, რომ უფლებამოსილმა ააიპ-მა ეფექტურად უნდა აწარმოოს საქმიანობა.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25(ოცდახუთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 01(ერთი): ა.თვალიაშვილი.

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (საავადმყოფო საწოლები) შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავზერიძე

12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა)

5.მოისმინეს: ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე 76 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავზერიძე

აზრი გამოთქვეს: ზ.მუსაევმა, ა.თვალიაშვილმა, ა.ძულიაშვილმა აღნიშნეს, რომ თავიდანვე პირობა უნდა განისაზღვროს რეალური ვადით რათა არ მოხდეს პირობის დარღვევა.

ლ.ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ პირობების შეუსრულებლობისათვის პროექტში აღნიშნული პირის მიმართ საჯარიმო სანქციები გატარებულია.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 21(ოცდაერთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ა.მახარიაშვილი, ა.თვალიაშვილი, წინააღმდეგი: 03(სამი) - ა.ძულიაშვილი, ბ.რევაზიშვილი, ზ.გრიშიკაშვილი.

6.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ.

მომხს. გ.თავზერიძე

12.50სთ-დან-13.00სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: მოქალაქე ა.მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ სანამ არ იქნება ქალაქის განაშენიანების გეგმა არ უნდა მოხდეს ქონების ნებისმიერი სახით გადაცემა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერია წინააღმდეგი არ არის ქონება გადასცეს სახელმწიფოს სარგებლობის უფლებით.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22(ოცდაორი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 04(ოთხი): ა.მახარიაშვილი, ზ.გრიშიკაშვილი, ბ.რევაზიშვილი, ა.ძულიაშვილი.

7.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4955 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. გ.თავზერიძე

13.00სთ-დან-13.10სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ა.ძულიაშვილმა, ა.თვალიაშვილმა

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ტერიტორია შემდგომში უნდა გადაეცეს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას, რომელიც აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით მოახდენს რეზერვუარების და ჭაბურღილების მშენებლობას.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 24 (ოცდაოთხი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ზ.გრიშიკაშვილი, ა.მახარიაშვილი.

8.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 100 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. გ.თავზერიძე

13.10სთ-დან-13.20სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 24(ოცდაოთხი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ზ.გრიშიკაშვილი, ა.მახარიაშვილი.

9.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ.

მომხს. გ.თავზერიძე

13.20სთ-დან-13.30სთ-მდე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტში აღნიშნული ტერიტორია არის სკვერი და რეგისტრირებულია, როგორც ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება.

აზრი გამოთქვეს: ზ.მუსაევმა, ი.პარწიკანაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

10.მოისმინეს: სხვადასხვა

1. - ი.პარწიკანაშვილმა ისაუბრა რეგიონალური პროექტების განხორციელების დაჩქარების აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ მოსახლეობის მხრიდან დიდი ინტერესია თუ რატომ არ იწყება პროექტები.

2. - მოქალაქე მ.მოსიაშვილმა ისაუბრა იმის თაობაზე, რომ ბავშვების უმრავლესობა ჩართულია რაგბის სპორტულ წრეებში, წლების განმავლობაში სასწავლო პროცესები მიმდინარეობდა კარგად, მაგრამ ბოლო პერიოდში პედაგოგების არასათანადო მოპყრობის გამო, ბევრმა ბავშვმა დატოვა ვარჯიში, ამიტომ აუცილებელია შესაბამისი კომისია დაინტერესდეს და გატარდეს ღონისძიებები, რათა ბავშვებს დაუბრუნდეთ სურვილი კვლავ გააგრძელონ ვარჯიში.

კომისიამ განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში გაერკვევა აღნიშნულ საკითხში.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

GEORGIA. TELAVI MUNICIPALITY COUNCIL
231291535